ჭა და წყარო

შენი აზრით, რატომ არის წყაროსა და ჭის წყალი ცივი? წაიკითხე ტექსტი და შეამონმე შენი პასუხი.

წვიმის დროს წყლის დიდი ნაწილი მიწაში ჩადის. იგი ჯერ მიწის ფხვიერ ფენას გაივლის. შემდეგ უფრო ღრმად ჩადის მიწაში. გაივლის **ქვიშას**, **კენჭებს**, ქვებს. ასე იწმინდება წყალი. ბოლოს კი იმ ფენამდე ჩადის, რომელიც წყალს არ ატარებს. მაშინ სუფთა წყალი მიწაში გროვდება. ადამიანი ასეთ ადგილას თხრის ჭას. ჭა ღრმა და ვიწრო ორმოა. მის ფსკერზე წყალია. მზის სითბო მიწის **წიალში** ძნელად აღწევს. ამიტომ არის ჭის წყალი ცივი. ჭიდან წყალი ჭურჭლით ამოაქვთ და სვამენ.

ზოგჯერ მიწის ქვედა ფენა დახრილია. ამის გამო წყალი ვერ ჩერდება. ის მიწაში მიედინება. ბოლოს შეიძლება ზემოთაც ამოვიდეს. ასე ჩნდება წყარო. ისიც ცივი და სუფთაა. ადამიანი წყაროს წყალსაც სვამს.

ზოგ წყაროს სამკურნალო თვისებები აქვს. ჩვენს ქვეყანაში ბევრია ასეთი წყარო. „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „საირმე“ – სამკურნალო წყლებია. მათ მინერალურ წყლებს უწოდებენ.

რატომ არის წყაროს წყალი სუფთა?



კომპონენტი: შედარება-შეპირისპირება, **დონე:** 2.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რით ჰგავს ჭისა და წყაროს წყლები ერთმანეთს?

ა) ორივე გროვდება იქ, სადაც მიწა წყალს აღარ ატარებს.

ბ) ორივე იწმინდება მიწის წიაღში დინების დროს.

გ) ორივე გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით.

2 წყალი მიწის ქვეშ შეიძლება დაგროვდეს იქ, სადაც:

ა) მიწის ფენა საკმაოდ დახრილია.

ბ) მიწის ფენას მზე ვერ ათბობს.

გ) მიწის ფენა წყალს აღარ ატარებს.

3 მიწისქვეშა წყალი იმიტომ არის ცივი, რომ:

ა) მზის სითბო მიწის წიაღში ვერ აღწევს.

ბ) მიწის წიაღში ბევრი წყალი გროვდება.

გ) წყალი ჯერ მიწის ფხვიერ ფენაში გადის.

4 მინერალურს უწოდებენ იმ წყაროს წყალს:

ა) რომელიც მეტად ცივია და სუფთა.

ბ) რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს.

გ) რომლის დალევა ძალიან სასიამოვნოა.

5 წყაროს წყალი ჭის წყლისაგან განსხვავდება იმით, რომ:

ა) წყაროს წყალი მიწაში გროვდება.

ბ) წყაროს წყალი სულ მიედინება.

გ) წყაროს წყალი სუფთა და ცივია.

▶▶▶ ლექსიკა

1 წაიკითხე განმარტება და ამოიწერე ტექსტიდან ამ განმარტების შესაბამისი სიტყვა.

მიწა, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილებისაგან, არის

---.

2 დააკავშირე ხაზებით სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. კენჭი	ქვის წვრილი ნამსხვრევები.
2. წიაღი	წვრილი, თხილისოდენა ქვა.
3. ქვიშა	დედამიწის სიღრმე.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) კენჭი. ბ) მიწა. გ) ქვა. დ) ქვიშა.

4 ხაზებით დააკავშირე ერთმანეთთან საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

1. ცივი	ფართო.
2. სუფთა	ზედა.
3. ქვედა	თბილი.
4. ვიწრო	ჭუჭყიანი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: კენჭი — კენჭები.

1. ქვა – ----------.
2. წყალი – ----------.
3. ორმო – ---------- .
3. წყარო – ---------- .

2 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

წყალი <u>მიწი. . .</u> ამოდის.

გრამატიკა

3 რომელია არასწორი?

1. ა) ალბათ. ბ) ზემოთ. გ) ღრმათ.
2. ა) ბევრი წყლები. გ) მინერალური წყლები. გ) სამკურნალო წყლები.

წერა

1 შეავსე ვენის დიაგრამა ტექსტის მიხედვით. დაწერე, რით ჰგავს და რით განსხვავდება წყარო და ჭა ერთმანეთისაგან.

ჭა საერთო წყარო



2 ვენის დიაგრამით შეადარე ერთმანეთს ორი ისეთი რამ, რომლებიც ძალიან გიყვარს.დაწერე, რომელი უფრო მეტად მოგწონს და რატომ. გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.

---------- **საერთო** ----------